ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

2022
2023

მონიტორინგის ანგარიში

ევროპის უნივერსიტეტი

www.eu.edu.ge

სარჩევი

უნივერსიტეტის შესახებ 3
სამოქმედო გეგმის მონიტორინგი 6
შეფასებების შეჯამება 8
მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით 13
პრიორიტეტული მიმართულება 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება 13
პრიორიტეტული მიმართულება 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება 16
პრიორიტეტული მიმართულება 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა 20
პრიორიტეტული მიმართულება 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება 24
პრიორიტეტული მიმართულება 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 27
პრიორიტეტული მიმართულება 6: უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება. 30

უნივერსიტეტის შესახებ

ევროპის უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 2012 წელს გამოჩნდა და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და საერთაშორისო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. უნივერსიტეტი აერთიანებს 3 ფაკულტეტსა და 17 საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც სწავლობს 3500-მდე სტუდენტი 70-მდე ქვეყნიდან.

უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;
- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა

ევროპის უნივერსიტეტი არის ქუთაისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და ფლობს საკუთარ, ჯო ენის, საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს, სადაც უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ უტარდებათ. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 500 სტუდენტისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებელი.

უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს წამყვან კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) წევრი, GUNi-ს ინოვაციური ქსელის ინსტიტუციური წევრი, ასევე ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE), ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE), ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (ADEE), ევროპის სამეცნიერო ღონისძიებათა ასოციაციის (EUSEA) და პროგრამირების ასოციაციის (ACM) აკადემიური წევრი.

უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს და აქტიურად თანამშრომლობს 31 ქვეყნის 85 უცხოურ უნივერსიტეტთან, საიდანაც 49 მდებარეობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ასევე უნივერსიტეტი ერაზმუს+ კრედიტ მობილობის საშუალებით თანამშრომლობს სამი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

რუქა N1. ევროპის უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტები, 2023 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით.



ევროპის უნივერსიტეტი არის ერაზმუს+ ჟან მონეს აქტივობების სამგზის გამარჯვებული და წარმატებით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ევროპის უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ევროკომისიის დაფინანსებულ ოთხ პროექტში მონაწილეობს როგორც პარტნიორი და კოორდინატორი.

უნივერსიტეტი არის ნელი ტურიზმის მენეჯმენტის EMDM პროექტის კონსორციუმის წევრი, რომელიც მოიცავს 6 ქვეყნის 7 უნივერსიტეტს. სასწავლო პროგრამის განხორციელება სემესტრულად მოხდება სამ უნივერსიტეტში (კოორდინატორი და წევრები), რომელთაგანაც ერთ-ერთი ევროპის უნივერსიტეტია:

- ვროცლავის ბიზნესის უნივერსიტეტი - პოლონეთი - კოორდინატორი
- პანონისას უნივერსიტეტი - უნგრეთი - წევრი
- ევროპის უნივერსიტეტი - საქართველო - წევრი

- ჯიჰლავას პოლიტექნიკური კოლეჯი - ჩეხეთი - ასოცირებული წევრი
- ალანიის უნივერსიტეტი - თურქეთი - ასოცირებული წევრი
- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო - ასოცირებული წევრი
- ბაქოს ინჟინერიის უნივერსიტეტი - აზერბაიჯანი - ასოცირებილი წევრი

უნივერსიტეტმა კოორდინატორის სტატუსით მოიპოვებული ევროკომისიის დაფინანსება პროექტისთვის "სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტების განვითარება საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ახალგაზრდა ვეტერინარიის პროფესიონალების მომზადების მიზნით"(VETPRO). პროექტი საერთაშორისო ხასიათისაა და ევროპის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით გულისხმობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი უნივერსიტეტების თანამშრომლობას. კერძოდ, კონსორციუმი შედგება 3 ქვეყნის 5 უნივერსიტეტისგან:

- ევროპის უნივერსიტეტი (საქართველო), კოორდინატორი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო)
- ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ლატვია)

ასევე კოორდინატორის სტატუსით აქვს უნივერსიტეტის მოპოვებული ევროკომისიის დაფინანსება პროექტისთვის „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პაციენტთა სტომატოლოგიური მომსახურების გაძლიერება და ექიმ-სტომატოლოგთა უწყვეტი განათლების ხელშეწყობა საქართველოში". უნივერსიტეტს თანამშრომლობას უწევს სამი საერთაშორისო და სამი ადგილობრივი პარტნიორი უნივერსიტეტი:

- სამედიცინო მეცნიერებათა პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- სტამბულის აიდინის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს უსდ-ებში სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამის კურიკულუმის განახლება ახალი/მოდერნიზებული სასწავლო კურსების მეშვეობით და საქართველოში ექიმ-სტომატოლოგებისთვის LLL ტრენინგ კურსების შემუშავება და შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს მომავალი და არსებული ექიმი-სტომატოლოგების უნარების განვითარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გაუმჯობესებული სტომატოლოგიური მომსახურებისთვის.

უნივერსიტეტს ასევე მოპოვებული აქვს ევროკომიის დაფინანსება ჟან-მონეს მოდულისთვის „ევროკავშირის გაფართოება: წარსულის გაკვეთილები სამომავლო გადაწყვეტილებებისთვის". პროექტის მიზანია ქართველი ახალგაზრდებისა და

ახალგაზრდა აკადემიკოსების ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პერსპექტივებიდან, სწავლების, დისკუსიებისა და პრაქტიკული სემინარების მეშვეობით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის სამი საზაფხულო სკოლის ორგანიზება და სასწავლო კურსის, „ევროკავშირის გაფართოების ისტორია“, განხორციელება, რომელიც ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირდება. პროექტი ევროკომისიის თანადაფინანსებით სამი წლის განმავლობაში განხორციელდება.

უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. ინსტიტუტების ფარგლებში გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდება ექსპედიციები და გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი “არქეოლოგია”, აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი არტეფაქტების გადარჩენასა და შენახვას.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი

დოკუმენტში წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიისა 2022-2025 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ანგარიში 2022-2023 აკადემიური წლის საანგარიშო პერიოდისთვის.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა 2019 წელს დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, და უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან სრულ ჰარმონიაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის, ორგანიზაციულ დონეზე, და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს. ევროპის უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, სტრატეგიულ პრიორიტეტად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება;
- უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა;

- სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიის დოკუმენტს და განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდის ამოცანებსა და მათ მისაღწევად შემუშავებულ ღონისძიებებს. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, მათი ასახვა ძირითად მიგნებებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

მონიტორინგის ფარგლებში ხდება კვარტალური, ამოცანებისა შესრულების პროგრესის მონიტორინგი და საბოლოო წლიური შეფასება. ამ მიზნით, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულსა და პირს ეგზავნება სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომზადებული მონიტორინგის ფორმა, სადაც ახდენენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების ხარისხის შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების პერიოდის შემდეგ ხდება უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია, ცვლადებსა და ინდიკატორებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა და ანალიზი. მონიტორინგის პროცესი არის ღია და მიმდინარეობს თითოეული სტრუქტურული

ერთეულისა და პროცესებზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შეფასების ეტაპზე და აქტიურ სამუშაო რეჟიმში წარმოადგინონ საკუთარი ხედვები შეფასებებთან დაკავშირებით.

საბოლოო ანალიზის საფუძველზე ყველა ღონისძიებას ენიჭება შესრულების შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია სრულად, შესრულებულია მეტწილად, შესრულებულია ნაწილობრივ და ვერ შესრულდა. ღონისძიებების შესრულების სტატუსის შესაბამისად შეფასებები ავტომატურად ენიჭება სამოქმედო გეგმის წლიურ ამოცანებს:

- შესრულებულია სრულად - დაგეგმილი ღონისძიებების 90% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია მეტწილად - დაგეგმილი ღონისძიებების 60% ან მეტი შესრულებულია;
- შესრულებულია ნაწილობრივ - დაგეგმილი ღონისძიებების 30% ან მეტი შესრულებულია;
- ვერ შესრულდა - დაგეგმილი ღონისძიებების 30-ზე ნაკლები შესრულდა.

ღონისძიებებისთვის საბოლოო სტატუსების მინიჭებას ახდენს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც მტკიცდება ყოველი წლის არაუგვიანეს 30 სექტემბერს რექტორის სამართლებრივი აქტით

და რომლის შემადგენლობაშიც შედიან რექტორი, ვიცე-რექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სტრატეგიული განვითარების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული სამსახურის უფროსები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების სტატუსის მინიჭების დროს ითვალისწინებს ღონისძიებების სირთულეს, მნიშვნელობასა და შესრულების ხარისხს.

წლიური მონიტორინგის ანგარიში განხილვის მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. წლიური ანგარიშის საფუძველზე, ჯგუფის რეკომენდაციების/რჩევების გათვალისწინებით, მმართველმა საბჭომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სტრატეგიული განვითარების ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების შესახებ, ასევე ანგარიშში ასახული შეუსრულებელი ღონისძიებების შემდგომ საანგრიშო პერიოდის სამოქმედო გეგმაში დამატების შესახებ, თუ ღონისძიების შესრულების საჭიროება ისევ დგას.

შეფასებების შეჯამება

ევროპის უნივერსიტეტმა 2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევას წარმატებით გაართვა თავი, ამოცანების უმეტესი ნაწილი სრულად, მეტწილად ან ნაწილობრივ არის შესრულებული, ასევე გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც.

ღონისძიებების შესრულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 10 ამოცანა სრულად შესრულდა, 12 მეტწილად, ხოლო 8 ნაწილობრივ. ვერ შესრულდა მხოლოდ 1 ამოცანა.

დიაგრამა 1. ამოცანების გადანაწილება შესრულების სტატუსის მიხედვით



პირველი პრიორიტეტული მიმართულება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს, უნივერსიტეტის შესახებ სიახლეები პერმანენტულად ვრცელდებოდა ტელე, ბეჭდურ და სოციალურ მედიაში, გაორმაგდა Facebook და Instagram სოციალურ ქსელებში მიმდევრების რაოდენობა. შესაბამისად მაღალი იყო უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწვდენის არეალი. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა დამსაქმებლებთან, განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები ნეთვორქინგის და თანამშრომლობის მიზნებისთვის. უნივერსიტეტი მუშაობდა ბრენდის განვითარებაზე და პოტენციური საერთაშორისო და ლოკალური სტუდენტებისთვის ხმის მიწვდენასა და უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაზე.

ასევე მაღალი იყო უნივერსიტეტის გაწეული რესურსები სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში, როგორც საჯარო სკოლის პედაგოგების უფასო ტრენინგებით მხარდაჭერით, ასევე რიგ პროგრამებზე გადასახადის სუბსიდირებით და მუზეუმისა და არქეოლოგიური გათხრების მხარდაჭერით. საერთო ჯამში 18 დაგეგმილი ღონისძიებიდან 16 სრულად, ხოლო 2 მეტწილად შესრულდა. საყურადღებო საკითხები არ გამოკვეთილა.

მეორე პრიორიტეტული მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე დატვირთულია. უნივერსიტეტის ხარისხის მექანიზმების მხარდაჭერით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამების განახლება-განვითარებაზე, სადაც უნივერსიტეტის პერსონალთან ერთად ჩართული იყო ყველა დაინტერესებული ჯგუფი. დასრულდა და აკრედიტაცია წარმატებით მიიღო არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ. დასასრულს მიუახლოვდა მუშაობა სამართლის სამაგისტრო და ბიზნესის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე, თუმცა პროგრამები სააკრედიტაციო ჯერ არ წარდგენილა

10-მა სტუდენტმა ისარგებლა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით, ხოლო საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართული იყო 500-ზე მეტი სტუდენტი და 50-მდე აკადემიური პერსონალი. გაფორმდა 26 თანამშრომლობის მემორანდუმი ევროპის, აზიის და სამხრეთ ამერიკის უნივერსიტეტებთან უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო Erasmus+ პროექტების მომზადებასა და წარდგენაში, როგორც კოორდინატორი, ასევე კონსორციუმის წევრი.

გამოწვევას წარმოადგენს პროგრებმის სააკრედიტაციოდ მომზადება დადგენილ ვადებში. პროგრამების აკრედიტაციისთვის მომზადების ვადამ გადაიწია. ვადების გადაწევის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს პროცესებში ჩართული პირების დატვირთვა ალტერნატიული აქტივობებით. ხოლო ბიზნესის ინგლისურენოვანი პროგრამის მოგვიანებით წარდგენა გადაწყდა კლასტერის ფარგლებში შეტანის მიზნით.

მესამე პრიორიტეტული მიმართულება - უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების განვითარებაზე, მოძიებული იქნა დამატებითი გარე პრაქტიკის შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტმა მოაწყო საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა. ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა შეფასების პროცესები და შესაბამისი რეაგირებების დაგეგმვა.

ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს სტუდენტების კმაყოფილების უფრო მეტად ამაღლება.სტუდენტების შეფასებებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით დაიგეგმა სათანადო რეაგირებები.

გამოწვევას ასევე წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები, მათ შორის პერსონალის/სტუდენტების დატრენინგება, რაც გამოწვეული იყო პერსონალის დაბალი აქტიურობითდა პლაგიატის სისტემაში ნაშრომების გადამოწმებისთვის ფართო გამოყენების საკითხი. სისტემაში აქტიურად ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ატვირთვა, თუმცა სხვა აქტივობების ატვირთვა და გამოყენების შედეგების შეგროვება მოითხოვს მეტად სისტემურ მიდგომას.გამოწვევის საპასუხოდ, მომავალი აქტივობებისთვის გათვალისწინებულია ადამიანური რესურსის გაძლიერება და უნივერსიტეტის სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის როლის გაზრდით.

2021-2022 წლის საანგარიშო პერიოდის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზდა სტრატეგიული განვითარების გეგმის სამიზნე ნიშნულების შესრულების ანალიზი.

მეოთხე პრიორიტეტული მიმართულება - წარმატებით განხორციელდა უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების კვლევა და განხილვა, საჭირო შემთხვევებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტების წახალისებასა და კვლევით აქტივობებში ჩართულობაზე, ფაკულტეტებზე განხორციელდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა გაზრდასა და მომზადებაზე საგრანტო პროექტების მოძიება-მუშაობასთან დაკავშირებით.

გამოწვევას წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტების ფარგლებში საგრანტო პროექტების წარდგენა-დაფინანსების მოპოვება.

მეხუთე პრიორიტეტული მიმართულება - უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერაზე. საანგარიშო პერიოდში სტუდენტებს გაუზიარდათ 230-ზე მეტი ვაკანსია და ჩატარდა რამდენიმე მიზნობრივი შეხვედრა როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულებისთვის განვითარდა სტუდენტური ბაზა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.

გამოწვევას წარმოადგენს ღონისძიებების ისე დაგეგმვა, რომ არ გადაიკვეთოს საგამოცდო ან არდადეგების პერიოდთან, რაც ხელს უშლის მათ ეფექტურ განხორციელებას.

მეექვსე პრიორიტეტული მიმართულება - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, თანამშრომელთა სამსახურიდან წასვლის მიზეზების კვლევა, გადაიხედა შინაგანაწესი, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შემუშავდა სტაჟირების წესი და

ხელშეკრულება, გადაიხედა და მოწესრიგდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აქტივობები ორგანიზაციული კულტურის და უნივერსიტეტის ბრენდის განვითარებისთვის, მათ შორის საახალწლო ღონისძიება, მეცნიერთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ა.შ

განხორციელებული შეფასების მიხედვით, ადმინისტრაციული პერსონალის 90% კმაყოფილია უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურით.

უნივერსიტეტის ძალისხმევით პროგრამებს შეემატა საერთაშორისო განმახორციელებელი პერსონალი

დაიწყო ახალი კამპუსის მშენებლობა და ასევე უნივერსიტეტს დაემატა ჯო ენის კლინიკის ფართი, სადაც განხორციელდება სწავლება, შეძენილ იქნა საგამოცდო ცენტრისთვის 200 კომპიუტერი, მოეწყო კომპიუტერული ქსელები და სხვა საჭირო ტექნიკა.

მომზადდა და ცენტრში გაიგზავნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განაცხადი.

გამოწვევას წარმოადგენს ღონისძიებების დროული შესრულება, აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდა დაგეგმილი ვადის მიღმა.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა წლიურ ჭრილში დასახულ მიზნებს თავი წარმატებით გაართვა. ამოცანების/ღონისძიებების სრული უმეტესობა წარმატებით შესრულდა. თუმცა, გამოიკვეთა გამოწვევებიც.

გამოწვევები გამოკვეთილია კვლევითი პროექტების დაფინანსების, აკადემიური კეთილსინდისირების შესახებ პერსონალის/სტუდენტების ინფორმირების და პლაგიატის აღმოჩენის სისტემის ფართო დანერგვაში, ასევე აქტივობების ვადებში შესრულების ნაწილში.

პროგრეს/კვარტლურ ანგარიშებზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოწვევები გათვალისწინებული იქნა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში, სადაც გადაიხედა პროგრამებზე მუშაობის/აკრედიტაციის ვადები, დამატებითი ფინანსური/ადამიანური რესურსები იქნა გამოყოფილი კვლევითი აქტივობების და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე მუშაობისთვის.

ასევე სამოქმედო გეგმას დაემატა აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას სტრატეგიული მიზნების ეფექტური მიღწევისთვის.

N	სამიზნე ნიშნული	2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდის შედეგები
1.	ევროპის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს, როგორც უნივერსიტეტი	ამ ეტაპზე ევროპის უნივერსიტეტში არ მოქმედებს სადოქტორო პროგრამები, უსდ-ს

	და ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას	სტატუსს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტი.
2.	ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას	2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვით, პერსონალის 91.7% კმაყოფილია და დადებითად აფასებს უნივერსიტეტის საქმიანობას.
3.	ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების 65%-ზე მეტი დასაქმებულია პროფესიის მიხედვით	2021-2022 წლის მონაცემებით გამოკითხული სტუდენტების 90% არის დასაქმებული, საიდანაც კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულია 70%.
4.	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 80%-ზე მეტი კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს	ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების 84.6%-კმაყოფილია და დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს
5.	აკადემიური პერსონალის სულ მცირე 60% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან	2022-2023 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით აკადემიური პერსონალის 53% აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან
6.	უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია	ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს 17 აკრედიტებული პროგრამა
7.	ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს სულ მცირე 2 ახალ უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამას	ევროპის უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა ინგლისურენოვან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ნელი ტურიზმის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე.
8.	უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების სულ მცირე 20% აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი	2023 წელს ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების 2%-ს აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი
9.	ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%-ს.	ევროპის უნივერსიტეტიდან ადმინისტრაციული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ აღემატება 10%-ს.

მონიტორინგი მიმართულებების მიხედვით

პრიორიტეტული მიმართულება 1. უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- *უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება*

ამოცანების ფარგლებში უნივერსიტეტში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი ფართოდ იყო წარმოდგენილი ონლაინ და ტელემედიაში. უნივერსიტეტის შესახებ სიახლეები და მიმდინარე აქტივობები ვრცელდებოდა ისეთი ტელეკომპანიების საშუალებით, როგორიც არის იმედი და რუსთავი 2, გაიზარდა უნივერსიტეტის სოციალური არხების აუდიტირია. გარდა ტელემედიისა და უნივერსიტეტის ოფიციალური გვერდებისა, მთელი წლის განმავლობაში რელევანტური ინფორმაციები ვრცელდებოდა შემდეგი მედია საშუალებების მეშვეობითაც - Interpressnew.ge, Frontnews.ge, Kvria.ge, BM.ge, Primetime.ge, On.ge, News.ge, Ipress.ge, GHN.ge, Actentnew.ge.

უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო გამოფენაზე დუბაიში. უნივერსიტეტის ასევე მონაწილეობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე IEF 2023-ზე ბაქოში და ყაზახეთში.

პარტნიორი კომპანიებისა და ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის დაგეგმა ონლაინ ვებინარი თემაზე: "თვითგანვითარება ანუ საკუთარი მეს ეფექტიანი მართვის მნიშვნელობა", რომელსაც გაუძღვა მოწვეული სპეციალისტი, იუსტიციის სამინისტროში მოქმედი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი.

უნივერსიტეტმა 2023 წლის 17 ივნისს უზრუნველყო ბიზნეს-ვახშმის ორგანიზება, სადაც პარტნიორ ორგანიზაციებთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და შესაძლებლობები იქნა განხილული.

უნივერსიტეტმა Webometrics უნივერსიტეტების სარეიტინგო ბაზის 2023 წლის გამოშვებაში ევროპის უნივერსიტეტმა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მე-20-დან მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. ასევე, ევროპის უნივერსიტეტის პროფილი დაემატა QS Top Universities-ის უნივერსიტეტების სიას.

- *სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება*

უნივერსიტეტისთვის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. 2022-2023 აკადემიური წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ორგანიზებით კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდებზე გამსვლელი საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის უფასო ტრენინგები ჩატარდა ქალაქ ყვარელის, სიღნაღის, ქარელის, ხაშურის, ქუთაისის, გორის, ზესტაფონის, საჩხერის, სოფელ არღუნის, ტკოცის, აგარის სკოლების პედაგოგებისთვის. ტრენინგებს ჯამურად 75 პედაგოგი დაესწრო. ტრენინგები ჩაატარეს მოწვეულმა ტრენერებმა მაია ბლიაძემ და მარიამ რამინაშვილმა.

დიაგრამა 2. პედაგოგების გადამზადების სტატისტიკური მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ევროპის უნივერსიტეტის აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალ არქეოლოგიის მე-7 ნომრის ფორმირება, რომელიც მიეძღვნა არქეოლოგ გოგი ლომთათიძეს. გამოიცა ორი მონოგრაფია - ბადრი გოგუაძის ,,ადმირალი სპადე“, რომელიც მიეძღვნა პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავს და გურამ ყიფიანის ,,ბოლნისის სიონი.
ევროპის უნივერსიტეტის დაფინანსებით მოხდა თელავის ,,ბატონის ციხის“ (კახეთი) ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა, სადაც აკად. ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტისა და ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის მიერ დაიგეგმა არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები.

მუზეუმს საანგარიშო პერიოდში გადაეცა არაერთი ახალი ექსპედიციებიდან ამოღებული და საჩუქრად მიღებული ექსპონანტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საველე არქეოლოგიური გასვლა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაჯითში. ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმმა და აკად. ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტმა მიიღეს ნებართვა ოხერახევის ადრეელინისტური სამაროვნის არქეოლოგიური გათხრებისათვის.

- *ადგილობრივი აბიტურიენტების/ სტუდენტების მოზიდვა*

ადგილობრივი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად ხვდებოდნენ როგორც თბილისის, ასევე რეგიონის სკოლების მე-10-მე-12 კლასის მოსწავლეებს. თბილისის მასშტაბით შეხვედრა განხორციელდა ისან-სამგორისა და გლდანი ნაძალადევის რაიონების 12 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ხოლო რეგიონული ტურის ფარგლებში იმერეთის რეგიონის 76 სკოლის მოსწავლეებთან.

დიაგრამა 3. აბიტურიენტებთან შეხვედრების სტატისტიკური მაჩვენებლები



უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის ფარგლებში ჩატარდა ფაკულტეტის კვირეული:

- **მედიცინის ფაკულტეტის კვირეულზე** განხორციელდა 23 ვორქშოფი მედიცინის მიმართულებით კლინიკური უნარების გამომუშავებაზე, 3 ვორქშოფი პათოლოგიის მიმართულებით, 10 ვორქშოფი სტომატოლოგიის მიმართულებით, ხოლო ფსიქოლოგიის მიმართულებით 5 საჯარო ლექცია;
- **სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის კვირეულზე** ჩატარდა 10 შეხვედრა/ღია ლექცია;
- **სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე** ჩატარდა 5 ვორქშოფი.

უნივერსიტეტში ჩატარდა ჟან მონეს ზამთრის სკოლა - "ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტიტუტი" დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის, რომელსაც 50-ზე მეტი მონაწილე ჰყავდა.

უნივერსიტეტი დამატებით აქტიურად ცდილობდა მუდმივ კომუნიკაციას დაინტერესებულ აბიტურიენტებთან, იგზავნებოდა ინფორმაციული შეტყობინებები, ჩაიწერა საინფორმაციო ვიდეო რგოლები.

- *საერთაშორისო აბიტურიენტების/სტუდენტების მოზიდვა*

საერთაშორისო აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით იდენტიფიცირებული იქნა რეკრუტირების ახალი შესაძლებლობები კატარში, გაერთიანებულ საემიროებში, სუდანში, ტუნისში და ისრაელში. ჩატარდა სამოცამდე ონლაინ და პირისპირ პარტნიორი სააგენტოების წარმომადგენლებთან.

პრიორიტეტული მიმართულება 2. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების განვითარება

- *უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა*

უნივერსიტეტს საანგარიშო პერიოდში სააკრედიტაციო განაცხადი არ წარუდგენია.

- *არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა*

არსებული პროგრამების უწყვეტი განვითარების მიზნით, გეგმიურად განხორციელდა პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, ასევე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. შეფასებებზე დაყრდნობით, ცვლილებების საჭიროება უნივერსიტეტში არ გამოკვეთილა, თუმცა მუდმივი განვითარების პრინციპის გათვალისწინებით, საჭირო ცვლილებები განხორციელდა სამივე ფაკულტეტის პროგრამებზე, შესაძლებელი გახდა ინგლისური ენის B2 დონის დადასტურების შემთხვევაში, ენის კრედიტების ათვისება არჩევითთან ერთად თავისუფალი კრედიტებით.

ამასათანავე, რიგ პროგრამებს დაემატა განმახორციელებელი პერსონალი.

- *ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაცია*

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა არქეოლოგიის საბაკალავრო, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო და კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამებზე.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა წარმატებით იქნა შემუშავებული და მიიღო აკრედიტაცია განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრისგან. სამართლის და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა 2023-2024 საანგარიშო პერიოდში გაგრძელდება.

- *პროგრამების ინტერნაციონალიზაცია*

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 9 სტუდენტმა. ამასთანავე საერთაშორისო სტაჟირების პროგრამით ისარგებლა 2-მა სტუდენტმა.

რაც შეეხება სტუდენტებისა და პერსონალის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა:

- 2022 წლის ნოემბერში ივანო-ფრანკოვსკის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის (უკრაინა) პროფესორები ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ონლაინ ლექციათა სერიას გაუძღვნენ თემაზე ანტიმიკრობული ფოტოდინამიკური თერაპია, თანამედროვე ტექნოლოგიები ყბა-სახის რეკონსტრუქციულ ქირურგიაში, ბიოინჟინერიული მიდგომა და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით (GBT) მკურნალობა პაციენტებში, იმპლანტებზე დამაგრებული პროთეზებით.
- 2022 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები გრიგორ თ. პოპა მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის და ივანო-ფრანკოვსკის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ონლაინ ლექციათა სერიას გაუძღვნენ.
- 2022 წლის სექტემბერში ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ონლაინ სასერტიფიკატო კურსები გაიარეს.
- 2022 წლის სექტემბერში ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები და აკადემიური / ადმინისტრაციული პერსონალი ევროკავშირის ერაზმუს+ პროგრამის მიერ დაფინანსებული ერაზმუს KA 2 პროექტ - "Third Way Project-ის" ფარგლებში შემუშავებულ სასერტიფიკატო ონლაინ სასწავლო მოდულებს დაესწრნენ.
- 2022 წლის ნოემბერში ევროპის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიების გასაცნობად ტრენინგების სერია ჩატარდა. ტრენინგებს გაუძღვა ესპანეთიდან მოწვეული სრული პროფესორი სამედიცინო ფიზიოლოგიის მიმართულებით
- მოწვეულმა სპიკერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან 2022 წლის 5 და 6 დეკემბერს “ევროპის უნივერსიტეტში” ტრენინგი - “ამერიკული სამართლის სისტემა და სისხლის სამართალწარმოება აშშ-ში” ჩაატარეს.
- 15-19 მაისს "ევროპის უნივერსიტეტის" მედიცინის ფაკულტეტს "ევროპის უნივერსიტეტისა" და სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი ეწვია. ერთი კვირის განმავლობაში პროფესორმა სტუდენტებისთვის რეპროდუქციული სისტემისა და ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით ლექცია/სემინარები ჩაატარა. ლექციებს 40 სტუდენტი ესწრებოდა.
- ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, „ევროპის უნივერსიტეტის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის ვროცლავის ბიზნესის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორებმა ლექციები წაიკითხეს. 23 დამსწრე სტუდენტი სერტიფიკატით დაჯილდოვდა.
- ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, "ევროპის უნივერსიტეტს" ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (ესტონეთი) ასოცირებულმა პროფესორმა, ამავე უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელმა ევროპის უნივერსიტეტში წაიკითხა ლქცია თემაზე: "ბიზნეს კვლევების გავლენა ქვეყნის

განვითარებაზე“. ლექციას თემით დაინტერესებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის 30 სტუდენტი დაესწრო.

- 2023 წლის ივლისში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ტრენინგ ცენტრის (ITC) მიერ შემოთავაზებული სასერტიფიკატო კურსი - Introduction to Project Cycle Management - გაიარა ერთმა სტუდენტმა და 4-მა აკადემიურმა პერსონალმა.
- 2023 წლის 10 ივლისს "CEFAM მენეჯმენტის საერთაშორისო სკოლის" (საფრანგეთი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ლექცია წაიკითხა.
- 2023 წლის 17-22 ივლისს ევროპის უნივერსიტეტს ბულგარეთის სოფიას მედიცინის უნივერსიტეტის და ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები ეწვივნენ. მოწვეულმა პროფესორებმა მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის გენეტიკის მიმართულებით ლექცია/სემინარები ჩაატარეს.
- 2023 წლის ივნისში, ევროპის უნივერსიტეტმა სანტა მარიას ჯანმრთელობის სკოლასთან (პორტუგალია) ერთად ონლაინ ლექციათა სერია გამართა. პორტუგალიელმა პროფესორებმა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის წაიკითხეს ლექციები.
- 2023 წლის 16 ივნისს ევროპის უნივერსიტეტმა ICD ბიზნეს სკოლის პროფესორს უმასპინძლა. ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში, პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორმა ევროპის უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის ლექცია წაიკითხა. პროფესორი "ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორებისთვისაც გაუძღვა ლექციას თემაზე: "ძირითადი ეკონომიკისა და გეოპოლიტიკური თემების კარტოგრაფიული პრეზენტაცია გლობალიზებულ სამყაროში".
- 2023 წლის ივნისში დაუგავპილსის უნივერსიტეტის (ლატვია) ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორი ევროპის უნივერსიტეტს ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ეწვია. 13 ივნისს პროფესორმა ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ლექცია თემაზე: "სოციალური მეწარმეობა და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისა და რეგიონის განვითარებაში" წაიკითხა.

2023 წლის ივნისში ევროპის უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით დაუგავპილსის უნივერსიტეტის (ლატვია) ეკონომიკის პროგრამის პროფესორი იმყოფებოდა. 12 ივნისს ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში პროფესორმა ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ლექცია თემაზე: „ლატვიასა და ევროკავშირში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები“ წაიკითხა.

საერთაშორისო სტუმრები ევროპის უნივერსიტეტში, 2022-2023 აკადემიური წელი

ამასთანავე აქტიურად იყვნენ სწავლების პროცესებში ჩართული ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი:

- ქართველი პროფესორებმა სანტა მარიას ჯანმრთელობის სკოლის სტუდენტებისთვის ონლაინ ლექციების სერია გამართეს. ჯამში ექვსი ლექცია ჩაატარდა - შეთავაზებით ისარგებლა 45 სტუდენტმა.
- ოქტომბერსა და ნოემბერში ევროპის უნივერსიტეტის პროფესორებმა ივან ფრანკოვსკის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის უკრაინელი სტუდენტებისთვის 7 ონლაინ ლექცია წაიკითხეს.

ამასთანავე გაცვლით ERASMUS+ გავცლითი პროგრამებით შერჩეული იქნა 7 აკადემიური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი.

უნივერსიტეტმა საერთაშორისო პარტნიორობის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, წლის განმავლობში გაფორმდა 26 ახალი მემორანდუმი შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- "გრიგორ თ. პოპა“ მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტს (რუმინეთი)
- პანონიის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- იიჰლავას პოლიტექნიკურ კოლეჯი (ჩეხეთი)
- ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
- ალანიის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- PXL გამოყენებით მეცნიერებათა და ხელოვნების უნივერსიტეტი, ბელგია;
- ვინიცია მიხაილო კოციუბინსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, უკრაინა;
- ტიტუ მაიორესკუს უნივერსიტეტი, რუმინეთი;
- სტამბულის გალათას უნივერსიტეტი, თურქეთი;
- ლატვიის კულტურის აკადემია, ლატვია;
- ფილიპსის უნივერსიტეტი, კვიპროსი;
- ნიშის უნივერსიტეტი (სერბეთი);
- აკონის უნივერსიტეტი (გერმანია);
- იეს ლა ენკანტა (ესპანეთი);
- პროფესიული კვლევების კოლეჯი ICEPS (ესპანეთი);
- ევროპის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი (ლიეტუვა);
- UniLaSalle პოლიტექნიკური ინსტიტუტი (საფრანგეთი);
- MFR-ის რეგიონალურ ფედერაცია (საფრნაგეთი);
- პანთეიონის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (საბერძნეთი);
- მეჯიმურჯეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს ჩაკოვეცში (ხორვატია);
- ხმელთაშუა ზღვის მენეჯმენტის ინსტიტუტი (კვიპროსი);
- პაულისტას უნივერსიტეტი (ბრაზილია);
- მინას გერაისის უნივერსიტეტი (ბრაზილია);
- ზეფატის აკადემიური კოლეჯი (ისრაელი);
- საერთაშორისო ჰუმანიტარული უნივერსტიტი (უკრაინა);
- მინდანაოს უნივერსიტეტი (ფილიპინები).

ევროპის უნივერსიტეტმა წარადგინა 3 განაცხადი ერაზმუს+ გრანტებზე და გახდა 4 საერთაშორისო პროექტის კონსორციუმის წევრი.

პრიორიტეტული მიმართულება 3. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის ამაღლება, სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების ფართოდ დანერგვა

- სწავლა - სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაციის ხელშეწყობა

უნივერსიტეტში აქტიურად ხორციელდებოდა ტრენინგები სწავლების ინოვაციური მეთოდების შესახებ. 2022-2023 აკადემიურ წელს გადამზადდა სულ 180 პერსონალი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ახალი ტრენინგ-მოდული „სასწავლო კურსები შერეული სწავლების ფორმატში“ და ტრენინგ-მოდული „სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები“.

2022 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია.

კონფერენცია ჩატარდა ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. კონფერენციაზე მთავარი მომხსენებლის რანგში სიტყვით წარსდგნენ ანასტასია ეკონომუ, (ერთობლივი კვლევითი ცენტრი, ევროკომისია), თემით „თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მხარდასაჭერად“, დარენ მუნდი (ჰალის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) თემით „კრიტიკული ციფრული წიგნიერება: შემუშავება, მხარდაჭერა და მიწოდება“, ასევე, ნიკოლოზ ფარჯანაძე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო) თემით „ვებ 3.0 ფილოსოფიის თეორია დღევანდელი სწავლა-სწავლების საზოგადოებისთვის“.

საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სხვა დამწყებმა და წამყვანმა მკვლევრებმა, რომლებმაც ასევე წარადგინეს სხვადასხვა ტექნოლოგიური სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული თემები. კონფერენციას 112 მონაწილე დაესწრო.

- სამართლებრივი დახმარების ცენტრის საქმიანობის არეალის გაფართოება

სამართლებრივი დახმარების ცენტრის ორგანიზებით საქართველოს პროფესიული განვითარების კავშირის მიერ გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე ჩატარდა მასტერკლასი, რომელსაც 50-მდე მონაწილე ესწრებოდა.

არაფორმალურ დასაქმებასა და ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე დისკუსიას პროფკავშირების გაერთიანების იურისტი, თამარ სურმავა გაუძღვა. სემინარის ფარგლებში განხილული იყო დისკრიმინაციის არსი და დისკრიმინაციული მიდგომის აკრძალვის მნიშვნელობა, რომელზეც ევროპასა და აზიაში მშრომელთა უფლებების დამცველ იურისტთა საერთაშორისო ქსელის რეგიონულმა კოორდინატორმა, თამარ გაბისონიამ ისაუბრა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯამში 150-მდე იურიდიული კონსულტაცია განხორციელდა. ცენტრი ტიპიურ სახელშეკრულებო საკითხებზე მოემსახურა დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს, რომელთა შემთხვევაში, ძირითადად იკვეთება შრომით

სამართლებრივი საკითხები და უძრავი ქონების ნასყიდობის საკითხები. პროცესების ფარგლებში შედგა 20-მდე სამართლებრივი დოკუმენტი/სარჩელი.

- პრაქტიკული სწავლების ცენტრებისა და ლაბორატორების დაფუძნება და არსებულის განვითარება

უნივერსიტეტის ლაბორატორიები, სტომატოლოგიური კაბინეტები და სიმულაციური ცენტრი აღჭურვილი იყო სტანდარტების შესაბამისად და საჭიროებების შესაბამისად ხდებოდა ნივთების შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში ხდებოდა მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, იმუნოლოგიის და ფიზიოლოგიის ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო მასალების, სტომატოლოგიის სიმულაციური კაბინეტებისათვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების, ანატომაჟების, ფოტოელექტროკალორიმეტრებისა და მიკროსკოპების შეძენა.

უნივერსიტეტში მოეწყო და ამუშავდა სტომატოლოგიური კლინიკა.

ვეტერინარიის კაბინეტი სრულად აღჭურვილი იყო სტანდარტების შესაბამისად. სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები აღნიშნულ ლაბორატორიაში გამართულად გადიოდნენ ანატომიისა და ქიმიის პრაქტიკულ კურსებს. კაბინეტი აერთიანებს მულაჟებს, სიმულატორებს, სამოძრაო აპარატურასა და ფაკულტეტის ფარგლებში საჭირო სხვა ინვენტარს. საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა ვეტერინარიის ანატომაჟი

საანგარიშო პერიოდში EU-LAB აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკით, შეძენილი იქნა განახლებული აღჭურვილობა, შეივსო და გარემონტდა ინტერიერი, შეკეთდა არსებული და დაემატა თანამედროვე ტექნიკა და დაინიშნა ლაბზე პასუხისმგებელი პირი.

- გარე პრაქტიკის გაძლიერება

საანგარიშო პერიოდში განახლდა 1 და გაფორმდა 19 ახალი ხელშეკრულება. მედიცინის მიმართულებით დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ მოთხოვნებს.

სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე განალხდა 27 და დაიდო 1 ახალი ხეშეკრულება, ხოლო სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტებზე დაიდო 28 ახალი ხელშეკრულება.

- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლება, დარღვევების გამოვლენა და პრევენციული მექანიზმების დანერგვა

საანგარიშო პერიოდში აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით პერსონალისთვის ჩატარდა 6 ტრეინინგი. ხოლო სტუდენტებისთვის ჯამურად 19 შეხვედრა.

უნივერსიტეტში დანერგილია Turnitin, პლაგიატის აღმოჩენის სისტემა, რომელსაც სამივე ფაკულტეტი იყენებს.

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდგომ. 2021-2022 აკადემიურ წელს პერსონალი შეფასებულია სრულად, უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალის 73%-მა, ვინც წარმოადგინა სამეცნიერო აქტივობის შეფასების ანგარიში, შეასრულა მათთვის დადგენილი მოთხოვნები.

საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილი მექანიზმების შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდებოდა მოწვეული და აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო მუშაობის შეფასება. ჯამურად განხორციელდა ხარისხის მექანიზმებით განსაზღვრული 38 დასწრება და შეფასება.

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, განხორციელდა საგამოცდო პროცესების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება. გამოკითხვების შედეგებით, სტუდენტების 78.2% კმაყოფილი იყო საგამოცდო პროცესებით.

მექანიზმების შესაბამისად ასევე განხორციელდა კლინიკებისა და კლინიკური სასწავლო კურსების შეფასება. გამოკითხული სტუდენტების 74% დადებითად აფასებდა კლინიკური სასწავლო კურსების განხორციელებას. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები.

სტუდენტების და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების შეფასებისა და შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით, ხარისხის შიდა მექანიზმების შესაბამისად, ჩატარდა გამოკითხვა ზოგადი კმაყოფილების შესახებ, რომლის შედეგებით სტუდენტების 84.6% პერსონალის 83.2% კმაყოფილებას გამოთქვამდა უნივერსიტეტთან ზოგად თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

სასწავლო წლის ბოლოს ასევე განხორციელდა პრაქტიკის კომპონენტის შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების 95.2% დადებითად აფასებდა პრაქტიკის კომპონენტს.

პრიორიტეტული მიმართულება 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება

- უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების პერიოდული გადახედვა

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის მიერ სრულად განახლდა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პოტენციალის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში. ასევე განხორციელდა ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების დეკლარირებული ანალიზი,

სამომავლო კვლევითი თემატიკა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრმა განსაზღვრა სამიზნე ნიშნულის შესაბამისად.

კვლევითი პრიორიტეტები შეიცვალა უნივერსიტეტის ორ სამეცნიერო ინსტიტუტში.

სამართლის ინსტიტუტის კვლევით პრიორიტეტებად განისაზღვრა:

- ინტერდისციპლინური და შედარებითი კვლევითი პროექტების ინიცირება და განხორციელება;
- სამართლის სხვადასხვა დარგის მეთოდოლოგიური პრობლემების კვლევების წარმოება;
- ინსტიტუტის კვლევების თანამედროვე განვითარებად ტექნოლოგიებთან შერწყმა.

გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევით პრიორიტეტებად განისაზღვრა:

- მიგრაციის მაჩვენებლები (ემიგრაცია/იმიგრაცია) საქართველოსთვის;
- შრომის ბაზარი საქართველოში, გამოწვევები და პერსპექტივები მიმდინარე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში;
- ფინანსური ბაზრები და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა
- საქართველოში;
- ცოდნის ეკონომიკა თანამედროვე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში.

- სამართლის ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამართლის ინსტიტუტის მიერ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტი „ქართული კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა ციფრული ეკონომიკის ეპოქაში“.

საანგარიშო პერიოდში სამართლის ინსტიტუტის კოორდინირებით ჩატარდა 3 საჯარო ღონისძიება, რომელსაც ჯამურად 100-ზე მეტი მონაწილე დაესწრო:

- პანელური დისკუსია - ბიზნესის სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში
- საჯარო ლექცია - სამართალი ბიზნესისთვის, პრაქტიკა, გამოწვევები, სიახლეები
- საჯარო ლექცია - ადვოკატის პროფესია

- მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში გამოიცა მედიცინის სამეცნიერო ჟურნალის 2 ნომერი. ასევე, DAAD და ევროკომიის მიერ, ქართველ მეცნიერთა მობილობის პროექტის ფარგლებში, დაფინანსდა პროექტი „ლატენტური ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის შესწავლა საქართველოში“.

- გლობალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში განახლდა ჟურნალის გამოქვეყნების სტანდარტები, სარედაქციო კოლეგია, დაემატნენ ახალი წევრები, შეიქმნა ჟურნალის სოციალური ქსელი.

- კვლევითი საგრანტო პროექტების ინიცირებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ორი შიდა საგრანტო პროექტი სამართლის, განათლებისა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა 1 საპროექტი განცხადი „სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები“.

საანგარიშო პერიოდში პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერისთვის დაორგანიზდა 30 საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრებს ესწრებოდა სამივე ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით აქტიურად იგზავნებოდა შეტყობინებები კვლევითი გრანტების/პროექტების/სტიპენდიების შესახებ. ჯამურად ინფორმაცია გაზიარდა 44 ასეთი შესაძლებლობის შესახებ.

უნივერსიტეტში ჩატარდა ყოველწლიური კვლევა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით საჭიროებების დადგენის შესახებ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა რესპონდენტნა, გაანალიზდა შედეგები, რომელიც მხარდაჭერის სტრატეგიების შემუშავებაში იქნება გამოყენებული. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 5 მასტერკლასი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გაძლიერების მხარდასაჭერად და პროექტების წერის მიმართულებით:

- 2023 წლის 2 თებერვალი - ონლაინ ვორქშოპი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე "ღია მეცნიერების პრინციპები", რომელსაც უძღვებოდა ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
- 2023 წლის 16 თებერვალი - 23 მარტი - 20 საათიანი ტრენინგი "სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი R-ის გარემოში", რომელსაც უძღვებოდა CRRC-საქართველოს კვლევების დირექტორი.
- 2023 წლის 19 აპრილი - ონლაინ ვორქშოფი "აკადემიური თავისუფლება", რომელსაც უძღვებოდა ევროპული სტუდენტების გაერთიანების ექსპერტი აკადემიური თავისუფლების მიმართულებით,
- 2023 წლის 10 ივნისი - ონლაინ ვორქშოპი თემაზე “მენტორობა და სამეცნიერო ხელმძღავენლობა“.
- 2023 წლის 21-31 ივლისი - ონლაინ ტრენინგი თემაზე „კოლაბორაციული კვლევა“, რომელსაც გაუძღვა ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

- კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტსა და მედიცინის ფაკულტეტზე აქტიურად ხდებოდა სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში. ორი სტუდენტია ჩართული შიდა გრანტის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში „სამოქალაქო სამართლის მეთოდოლოგიური პრობლემები“, ამასთანავე ორივე ფაკულტეტზე გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

- კვლევის შედეგების გაზიარება ფართო საზოგადოებისთვის

მედიცინის ფაკულტეტზე საანგარიშო პერიოდში შედეგების გაზიარების მიზნით ჩატარდა 2 შეხვედრა, რომელსაც ჯამურად 10 სტუდენტი ესწრებოდა.

პრიორიტეტული მიმართულება 5. სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის ორგანიზებით სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით სამი აქტივობა განხორციელდა:

- 2022 წლის 29 ნოემბერი - კარიერული განვითარების მასტერკლასი. მასტერკლასს გაუძღვა სამსახურის ხელმძღვანელი;
- 2023 წლის 1 მარტი - კარიერული განვითარების მასტერკლასი. მასტერკლასს გაუძღვნენ HRM სააგენტო Hiro-ს წარმომადგენლები;
- 2023 წლის 1 მაისი - მასტერკლასი რეზიუმეს სწორად შედგენის, მეილინგის ეტიკეტის, გასაუბრების და სამოტივაციო წერილის შესახებ.

ამასთანავე სტუდენტებს პერმანენტულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია მიზნობრივი ვაკანსიების და სხვა დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ჯამურად სტუდენტებთან გაზიარდა 230 ვაკანსია. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ასევე მიეღოთ ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია, სერვისით ისარგებლა 34-მა სტუდენტმა. გარდა ამისა, პერიოდულად იგეგმებოდა დამსაქმებლებთან პირისპირ შეხვედრებიც.

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება

საანგარიშო პერიოდში რიგი სამუშაოები იქნა განხორციელებული სტუდენტური ბაზის დახვეწის მიზნით. ბაზაში ჩაშენდა საგამოცდო მოდული, რომელიც სტუდენტების გამოცდების ელექტრონულ ფორმაში ჩატარებას უზრუნველყოფს.

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და ლოიალობის ზრდა

საანგარიშო პერიოდში არაერთი აქტივობა დაიგეგმა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერის მიზნით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების მოსაზრებების გამოვლენას და მხარდაჭერას. დაიგეგმა 2 ფორმალური შეხვედრა, სადაც სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობა ჰქონდათ.

ყოველთვიური საინფორმაციო ფურცლები (Newsletter) იგზავნებოდა დაინტერესებულ მხარეებთან უნივერსიტეტის სიახლეების მუდმივი მიწოდებისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება:

- Welcome ღონისძიება - ესწრებოდა 200-მდე პირველკურსელი
- New Year Party ღონისძიება - ესწრებოდა 400-ზე მეტი სტუდენტი
- Graduation ღონისძიება - ესწრებოდა 84 კურსდამთავრებული
- Reunion ღონისძიება

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება, მარტი, 2023 წელი

საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა ერთდღიანი ტური მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, ყაზბეგში. ღონისძიება წარმოადგენს პროექტ "ვიცნობდეთ

საქართველოს“ პირველ აქტივობას. პროექტის მიზანია ევროპის უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებს საქართველოს ისტორიული ადგილები გააცნოს და მათში ქართული კულტურის შესახებ ცნობადობა გაზარდოს.

- ექსტრაკურიკულარული პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა ექსტრაკურიკულარული პრაქტიკების მოძიებასა და სტუდენტებისთვის შეთავაზაზე. მედიცინის სტუდენტების რამდენიმე ნაკადმა ჯო ენის საუნივერსიტეტო კლინიკაში პრაქტიკები წარმატებით გაიარა, ასევე სავეტერინარო მედიცინის სტუდენტების პრაქტიკები განხორციელდა ორგანიზაციაში ნუტრიმაქსი, ნატვრის ხე და ნიუ ვეტი.

ევროპის უნივერსიტეტსა და კომპანია ენკომთან თანამშრომლობით 21 და 28 მაისს იმიტირებული სასამართლო პროცესი ჩატარდა, სადაც ევროპის უნივერსიტეტის გუნდთან ერთად სხვა უსდ-ებიც მონაწილეობდნენ.ასევე, სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, ევროპის უნივერსიტეტში მასტერკლასების სერია გაიმართა. ღონისძიება 12, 13 და 14 მაისს მიმდინარეობდა და მას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სამართლის პროგრამის სტუდენტები ესწრებოდნენ.

მასტერკლასების სერიას ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული სპეციალისტები ღონისძიების ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი თემები: ჩხრეკის თავისებურებები, ბრალდებულის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების კანონიერად დასაშვებობა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციურ უფლებაზე - შეკრების თავისუფლებაზე. აღნიშნულ თემებზე სტუმრებმა ამერიკული გამოცდილება გაუზიარეს ქართველ სტუდენტებს. მსმენელთა თხოვნით, დამატებით განხილულ იქნა სიკვდილით დასჯის სამართლებრივი ასპექტები აშშ-ში.

მარკ სპეისერი და რობერტ ტრეჩმანი ევროპის უნივერსიტეტში, 12 მაისი, 2023 წელი

მედიცინის ფაკულტეტზე ჩატარდა მე-13 სტუდენტური კონფერენცია. მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა კვლევებზე დაფუძნებული მოხსენებები წარადგინეს. სტუდენტებმა კვლევები ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელმძღვანელობით განახორციელეს, რომელიც მედიცინის სხვადასხვა აქტუალურ საკითხს ეხებოდა.

სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მე-9 სტუდენტური კონფერენცია. კონფერენციაზე ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები წარდგნენ. სტუდენტებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და მოსაზრებები.

პრიორიტეტული მიმართულება 6: უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და რესურსების განვითარება.

- ორგანიზაციის მართვა

უნივერსიტეტში ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით განხორციელდა კმაყოფილების კვლევა. რესპონდენტების 91.7% კმაყოფილია და დადებითად აფასებს ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას.

ორგანიზაციული კულტურის განვითარების მიზნით ხდებოდა პროფესიული დღეების აღნიშვნა და თანამშრომელთა წახალისება.

უნივერსიტეტში განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის ყოველწლიური შეფასება, შეფასების პროცესში თანამშრომელთა 95%-მა მიიღო მონაწილეობა. შეფასებების შედეგების მიხედვით წახალისება შეეხო 70 თანამშრომელს.

უნივერსიტეტის ვაკანტურ პოზიციებზე გაზრდილი იყო მომართვიანობის მაჩვენებელი.

განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა-უნივერსიტეტეში განხორცილებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, გადაიხედა და განახლდა უნივერსიტეტის დებულება, გადაიხედა და განახლდა სამუშაო აღწერილობები. შემუშავდა და დაინერგა სტაჟირების გავლის და სტაჟიორების შერჩევის წესი.

- ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) მოზიდვა

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს დაემატა 6 საერთაშორისო გამოცდილების მქონე ლექტორი.

საანგარიშო პერიოდში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პოზიციებზე შერჩეული იქნა 42 პირი. ადმინისტრაციულ პოზიციებზე, როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე თანამდებობაზე ხელშეკრულება გაუფორმდა 33 ახალ თანამშრომელს.

- ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

განხორციელდა თანამშრომელთა შეფასების პროცესი, გამოვლინდა და დამუშავდა შედეგები, მოხდა თითოეული თანამშრომლის ინფორმირება შედეგების შესახებ, ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემის თანახმად განისაზღვრა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიება მათ მიერ მიღებული შეფასების შედეგების მიხედვით.

ღონისძიების ფარგლებში რეაგირებები განხორციელდა 2021-2022 წლის შეფასებებზე დაყრდნობით, თანამშრომლებისთვის შედგა ინგლისური ენის ჯგუფები.

- უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების განვითარება

ჯო ენის კლინიკაში გარემონტდა ფართი, რომელიც უნივერსიტეტს აქვს აღებული უზუფრუქტით. ფართი მოემსახურება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს და აკმაყოფილებს სტრატეგიით განსაზღვრული სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის

საჭიროებებს. ასევე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაწყებულია ოთხსართულიანი კამპუსის მშენებლობის პროცესი.



- საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების განვითარება

საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა 200 კომპიუტერი საგამოცდო ცენტრისთვის და 10 აიპი კამერა უნივერსიტეტისთვის. ასევე, განხორციელდა განახლებული კომპიუტერული ქსელების მოწყობა.

- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა

საანგარიშო პერიოდში შედგა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განაცხადი შესაბამისი დანართებით, რომლის შეტანა დაიგეგმა 2023 წლის სექტემბერში.

ევროპის
უნივერსიტეტი

(+995 32) 2 000 171

info@eu.edu.ge

www.eu.edu.ge